ხელშეკრულება N10

(გამარტივებული შესყიდვა)

სოფ. ხიდიკარი 15 აპრილი2015 წელი

შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–10 მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ერთის მხრივ, თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) ამბროლაურის კულტურის ცენტრის დირექტორი გია გეწაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მეწარმე „კახაბერ ლომთაძე"(შემდგომში–მიმწოდებელი) , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საგანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად სცენის მოწყობის სამუშაოების (45400000) შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია სოფ. ხიდიკარში თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრის სცენის მოწყობის სამუშაოები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 2900 (ორიათასცხრაასი) ლარით, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და მიწოდების ვადები

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას , რომ სამუშაოები შესრულებული იქნება საშენებლო წესებისა და ნორმების დაცვით და შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს

4.2 შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება არანაკლებ 1 (ერთი) წლის მიღება –ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთაარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა გარდა იმ შემთხვევებისა როცა ხარვეზები მიღებულია მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების, არასწორი ექსპლუატაციის და მექანიკურად მიყენებული დაზიანების გამო

4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა დგება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მთავრდება 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მიღება–ჩაბარების აქტით რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშ სწორება განხორციელდება ლარში გადარიცხვით. „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის

N1–1/1463 ბრძანების შესაბამისად რომლის შინაარსიც ცნობილია მიმწოდებლისათვის.

6.2 მიმდინარე ანგარიშსწორება შესაძლებელია ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შუალედური აქტის საფუძველზე

6.3 შესყიდვის ობიექტის საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 7 დღის განმავლობაში

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მხარეები შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს ახორციელებს თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრის ადმინისტრაცია

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

8.2 მოწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,15% ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

11. ფორს–მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს–მაჟორი ნიშნავს მახარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებისა და დაუდევრობასთან.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე

12.2 შეტანხმების მიუხწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლიათ დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს

13. სხვა პირობები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
თვითმმართველი თემი ამბროლაურის	ი/მ კახაბერ ლომთათე
კულტურის ცენტრი	
მისამართი სოფ. ხიდიკარი	მისამართი ამბროლაური
ტელეფონი 599 15 61 08	ანგ.N GE98LBO112112305528000
საიდენტიფიკაციო კოდი 422934873	საიდენტიფიკაციო კოდი 04001007007
სს ლიბერთი ბანკი ამბროლაურის ფილიალი	სს ლიბერთი ბანკი ამბროლაურის ფილიალი
ბ/კ 220101421	ბ/კ 220101421
დირექტორი /გ.გელაძე/	ი/მ / კახაბერ ლომთათე/